აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის
№01-05-04/12 დადგენილების დანართი

საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი

1. ბაკალავრიატის სტუდენტი სწავლების მერვე სემესტრში ამზადებს საბაკალავრო კვლევით პროექტს/ნაშრომს (შემდგომში საბაკალავრო ნაშრომი).
2. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა შეიძლება იყოს ბაკალავრიატის პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პრაქტიკის, ან სხვა კომპონენტის ჩაბარება.
3. ნაშრომი უნდა შეიცავდეს კვლევას. მასში მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, დასმული ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზები.
4. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა დანართების გარეშე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 15 გვერდს. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1,5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
5. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, მათ შორის მოწვეული, ემერიტუსი ან სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი.
6. სტუდენტის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი (დაცვა) შეფასების ფორმებით.
7. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი მე-8 – მე-12 კვირებში შესრულებული სამუშაოს მიხედვით აფასებს სტუდენტს და შუალედური შეფასების ქულა შეაქვს შესაბამის ელექტრონულ უწყისში.
8. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: S=6xM (ქულა), სადაც M არის საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასების ქულა.
9. საბაკალავრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა; მინიმალური დადებითი შეფასება - 15 ქულა.
10. შუალედური შეფასების კრიტერიუმებია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა):

    5 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, მასში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა, ტერმინოლოგია გამართული და ადექვატურია;

4 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, მასში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა, ტერმინოლოგიაში ვხვდებით ხარვეზებს;

3 ქულა - ნაშრომში ვხვდებით ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა, მისი გადაწყვეტის გზა არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი, ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;

2 ქულა - ნაშრომი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კვლევის მიზანი, დასმული ამოცანა, მისი გადაწყვეტის გზა არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი, ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;

1 ქულა - ნაშრომი არადამაკმაყოფილებელია. კვლევის მიზანი, დასმული ამოცანა, მისი გადაწყვეტის გზა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ტერმინოლოგია არაზუსტია;

0 ქულა - ნაშრომი არ არის წარმოდგენილი.

11. სტუდენტი დასრულებულ ნაშრომს („დოკუმენტური მასალის“ სახით) წარუდგენს ხელმძღვანელს დაკვნითი გამოცდების წინა კვირაში და ემზადება დაცვისათვის. ნაშრომი ხელმძღვანელის ხელმოწერით გადაეცემა საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიას.
12. სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს შუალედური შეფასებაში მინიმალურ დადებით შეფასებას ან დროულად არ ჩააბარებს დასრულებულ საბაკალავრო ნაშრომს „დოკუმენტური მასალის“ სახით, დაცვაზე არ დაიშვება.
13. საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მტკიცდება აკადემიური დეპარტამენტის წარდგენით დეკანის ბრძანებით და რომელშიც შეიძლება შედიოდეს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, მათ შორის მოწვეული, ემერიტუსი ან სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი. ნაშრომის დაცვას უნდა ესწრებოდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი.
14. სტუდენტი აკეთებს საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციას (10-15 წუთი), რომელსაც მოჰყვება კითხვა-პასუხი (დისკუსია). სტუდენტმა დაცვის დროს უნდა უპასუხოს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
15. სტუდენტს კომისიის თითოეული წევრის აფასებს სამი კომპონენტის მიხედვით: საბაკალავრო ნაშრომის შინაარსი და გაფორმება, პრეზენტაცია და კითხვა-პასუხი.
16. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: S=5xM (ქულა), სადაც M არის კომისიის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული შეფასებების ჯამების საშუალო არითმეტიკული.
17. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 70 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება – 21 ქულა.

18. კომპონენტების მიხედვით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებია:

18.1. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსი და გაფორმება (მაქსიმალური შეფასება 6 ქულა):

6 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, სრულყოფილადაა გადაწყვეტილი ამოცანა და სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგია გამართულია. გაფორმების ხარისხი მაღალია;

5 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია და სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგია გამართულია, გაფორმების ხარისხი კარგია;

4 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია და თითქმის სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგიაში ვხვდებით ცალკეულ ხარვეზებს. გაფორმების ხარისხი მისაღებია;

3 ქულა - ნაშრომში ვხვდებით ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრულად. ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია. გაფორმების ხარისხი დამაკმაყოფილებელია;

2 ქულა - ნაშრომი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. ჩატარებული კვლევა სრულად არ შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრუყოფილად. ტერმინოლოგია მისაღებია. გაფორმება ხარვეზებს შეიცავს;

1 ქულა - ნაშრომი არადამაკმაყოფილებელია. ჩატარებული კვლევა არ შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრულად. ტერმინოლოგია არაზუსტია. გაფორმება არადამაკმაყოფილებელია;

0 ქულა - ნაშრომი არ არის წარმოდგენილი.

18.2. პრეზენტაცია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა):

5 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება სრულყოფილია, ტერმინოლოგია გამართულია;

4 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება მისაღებია, მაგრამ ტერმინოლოგია ში ვხვდებით ხარვეზებს;

3 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს; ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;

2 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, ტერმინოლოგია მისაღებია;

1 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება არადამაკმაყოფილებელია, ტერმინოლოგია არაზუსტია;

0 ქულა - პრეზენტაცია არ შედგა.

18.3. კითხვა-პასუხი (მაქსიმალური შეფასება 3 ქულა):

3 ქულა - კითხვებზე გაცემული პასუხები სრულყოფილია;

2 ქულა - კითხვებზე გაცემული პასუხები შეიცავს ცალკეულ ხარვეზებს;

1 ქულა -კითხვებზე გაცემული პასუხები ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ შეკითხვებს;

0 ქულა -კითხვებზე გაცემული პასუხები არაადეკვატურია, არ არის მისაღები.

19. სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს დაცვაზე მინიმალურ დადებით შეფასებას და/ან ჯამურად დააგროვებს 41-50 ქულა, განმეორებით დაცვაზე დაიშვება დამატებითი გამოცდების ვადებში. თუ აღნიშნული სტუდენტი განმეორებით დაცვაზე ვერ მიიღებს მინიმალურ დადებით შეფასებას (მიუხედავად ჯამურად დაგროვებული ქულებისა) ან ჯამურად ვერ დააგროვებს 51 და მეტ ქულას, საბაკალავრო ნაშრომი ხელახლა ექნება შესასრულებელი. სტუდენტს შემდეგ სემესტრში შეიძლება მიეცეს იგივე თემის შესრულების უფლება.
20. დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
21. ხელმძღვანელი ინფორმაციას საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენის შესახებ და დაცვის შეფასებას დადგენილ ვადებში შეიტანს ელექტრონულ უწყისში.